თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი 2024 წლის 16 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ოთარ ესიტაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, ივანე კირვალიძე, ზაზა ტატულიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, ეთერი გურგენაშვილი, ივანე დალაქიშვილი, მერი მაისურაძე, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ დაღუნდარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე **უჩა ჭოტიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **გიორგი ქართლელიშვილი, რუსუდან იმერლიშვილი, იმედა კევლიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლიკა ალადაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი **ირაკლი ლაგაზიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ნატალია ჯავახია.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ

მომხს. გ.ხაჭაპურიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მომხს. გ.ხაჭაპურიძე

3. თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ

მომხს.გ.ხაჭაპურიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ

კომისიის თავჯდომარემ **გიორგი ხაჭაპურიძემ** მიმართა მერიის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსს **ლიკა ალადაშვილს** გაეკეთებინა განმარტება თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: **ლიკა ალადაშვილმა** აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ჭადრის ხის დაცვის მიზნით სხვადასხვა სამუშაოსა და ღონისძიების განხორციელება;

2. ყორჩიბაშვილების სამხრეთ აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა;

3. დაბახნების გორის კვლევითი, არქეოლოგიური სამუშაოებისა და კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და სხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო **ბაადურ რევაზიშვილმა, ეთერი გურგენაშვილმა, ივანე დალაქიშვილმა, მერი მაისურაძემ.**

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამა წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა **მაია დათუნაშვილმა** კომისიის წევრებს გააცნო თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას ემატება მასტერკლას-სემინარების ჩატარება ხელოვნების 4 მიმართულებით: კინო კერამიკა, მხატვრობა და თეატრი. მასტერკლასებს ჩაატარებენ შესაბამის სფეროში მოღვაწე კომპეტენტური ადამიანები, რაც ხელს შეუწყობს სახელოვნებო დარგებით დაინტერესების ზრდას, დარგების პოპულარიზაციას, ცნობიერების ამაღლებას და პროფესიული უნარების განვითარებას.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო **ბაადურ რევაზიშვილმა, ეთერი გურგენაშვილმა, ივანე დალაქიშვილმა, მერი მაისურაძემ.**

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი სპორტულ ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა **მაია**

დათუნაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტულ ახალგაზრდულ პროგრამას პროექტის ფარგლებში ემატება ენდურო-მოტოკროსი, რომელიც წარმოადგენს მოტორბოლის სახეობას რთულ რელიეფზე, ტრამპლინებით და დაბრკოლებებით მოწყობილ სპეციალურ მოტოდრომზე. პროექტის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში მოტოსპორტის პოპულარიზაცია და სპორტის ამ სახეობის განვითარება. აგრეთვე პროგრამა მოიცავს 9 მიმართულებას, რომელიც ახალგაზრდებში ინტელექტის, კრეატიულ-შემეცნებითი აზროვნების განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის ხელშეწყობას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ემსახურება.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო **ბაადურ რევაზიშვილმა, ეთერი გურგენაშვილმა, ივანე დალაქიშვილმა, მერი მაისურაძემ.**

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი სპორტულ ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხაჭაპურიძე